საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141
ტელ-ფაქსი: 6-72-09

№ 01-40/2026

„4“ ნოემბერი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებულ №187 კონკურსში, რომელიც შეეხება ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვას, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „არქმშენი“.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ უზრუნველყოთ №187 საკონკურსო განცხადებისათვის სტატუსის – „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭება.

ღრმა პატივისცემით,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
მუნიციპალიტეტის გამგებელი — გელა ცხომელიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141
ტელ–ფაქსი: 6-72-09

№ 01-36/1670 — 24 ოქტომბერი 2011 წელი

შ.პ.ს. „არქმშენ"–ს

მისამართი: ქ. რუსთავი, თოდრიას ქ 5ა

საკონკურსო კომისიამ განიხილა, ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით (საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი 187), ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (შემოს №01-12/2897, 21,10,2011 წელი). განხილვის და შეფასების შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება კომისიის მიერ დადგენილ საკონკურსო პირობებს.

გთხოვთ არაუგვიანეს სამი დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მუნიციპალიტეტის გამგებელი,
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე — გელა ცხომელიძე

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქობულეთი 24 ოქტომბერი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებული №187 კონკურსის საშუალებით, ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე — გელა ცხომელიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სულხან მოწყობილი

კომისიის წევრი:

რევაზ ხარაზი

ქეთინო ხარაზი

ბადრი რომანაძე

დავით ბოლქვაძე

დავით ნოღაიდელი

კომისიის აპარატის წევრი:

ნათია ბასიაშვილი

გურამ მჟავანაძე

ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით შექმნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

24 ოქტომბერი 2011 წელი

ქ. ქობულეთი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) გელა ცხომელიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) სულხან მოწყობილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) რევაზ ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ) ქეთინო ხარაზი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ე) ბადრი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

ვ) დავით ბოლქვაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ზ) დავით ნოღაიდელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

თ) ნათია ბასიაშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზების საკითხებში - კომისიის აპარატის წევრი;

ი) გურამ მჟავანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი - კომისიის აპარატის წევრი.

*სხდომის დღის წესრიგი:*

ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის (შპს „არქმშენი") მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

***მოისმინეს:*** კომისიის წევრის დავით ნოღაიდელი გამოსვლა, რომელმაც კომისიას მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ, ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებულ №187 კონკურსში დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა შპს „არქმშენმა", მის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ღირებულება შეადგენს 4915 (ოთხიათას ცხრაას თხუთმეტი) ლარს, ხოლო მომსახურების გაწევის ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებმა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შეაფასეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (დაერთო ოქმს).

*კომისიამ დაადგინა:*

1. ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შ.პ.ს. "არქშენი".

2. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს:

– დადგენილი წესის შესაბამისად, კომისიის სხდომის ოქმის ხელმოწერის შემდეგ, მისი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დასკანერებული სახით წარდგენა (სააგენტოს ელექტრონული ფოსტა contest@procurement.gov.ge) საკონკურსო განცხადების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

– კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

– სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით გამარჯვებული პრეტენდენტის შ.პ.ს. „არქშენი"-ს მოწვევა.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | გელა ცხომელიძე |
| კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | სულხან მოწყობილი |
| კომისიის წევრი: | რევაზ ხარაზი |
| | ქეთინო ხარაზი |
| | ბადრი რომანაძე |
| | დავით ბოლქვაძე |
| | დავით ნოღაიდელი |
| კომისიის აპარატის წევრი: | ნათია ბასიაშვილი |
| | გურამ მჟავანაძე |

არქმშენი ARCHMSHENI

საქართველო, რუსთავი თოდრიას ქ. 5ა
599 25 00 82 ფაქსი: 8 342 22 10 00

21 ოქტომბერი 2011წ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
გამგებელს, ბატონ გელა ცხომელიძეს

# განცხადება

წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „არქმშენის" საკონკურსო წინადადებას #187 (განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი)

პატივისცემით
შპს „არქმშენის" დირექტორი

მალხაზ სულაბერიძე

01-12/2897

LB

**ლიბერთი ბანკი**

**საგადახდო დავალება #** 5028710921

თარიღი 2011 წლის 20 ოქტომბერი

1 | 0

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: შპს "არქმშენი"<br>გადამხდელის ანგარიში GE82LB0113156510557000<br>გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 | GEL<br>**50.00**<br>თანხა სიტყვიერად<br>ორმოცდაათი ლარი |
| საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე<br>დასახელება: შპს "არქმშენი"<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 416288476 | |
| მიმღები დასახელება: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო<br>მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE52BR0000010591718543<br>მიმღების ბანკი/ხაზინა სს "ბანკი რესპუბლიკა" ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი ბანკის კოდი REPLGE22<br>საიდენტიფიკაციო კოდი:<br>გადახდის დანიშნულება: შემსყიდველი:ქობულეთის მუნიციპალიტეტი ს/კ 247001890, კონტრაჰენტი : შპს "არქმშენი" ს/კ 416288476, საკონკურსო განცხადება #187 | ბანკის აღნიშვნები<br>შესრულების თარიღი:<br>20.10.2011<br>ბანკში შემოსვლის თარიღი<br>ლიბერთი ბანკი LB<br>4 ... 20.10.2011<br>№ 250<br>LBRTGE22 |
| დამატებითი ინფორმაცია:<br>ხელმოწერა: | ხელმოწერა:<br>ბეჭდის ადგილი |

ARCHMSHENI LTD 416288476

## ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

| | |
|---|---|
| განაცხადის ნომერი: | 380420 |
| განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: | B11151433 |
| ამონაწერის მომზადების თარიღი: | 20/10/2011 11:14:02 |

### სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს არქმშენი |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, რუსთავი , თოდრიას ქ.,№5/ა |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 416288476 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 04/03/2010 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია) |

### ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 35001046195, მალხაზი სულაბერიძე,
  , დირექტორი, ,

### პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01011015868, დავით დაუშვილი, | 100.00000000% | 416288476-SH-00001 |

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

# რეკვიზიტები

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შ.პ.ს.)

საფირმო სახელწოდება: შ.პ.ს. „არქმშენი"

იურიდიული მისამართი: საქართველო, რუსთავი თოდრიას ქ. 5ა

ფაქტიური მისამართი: საქართველო, რუსთავი თოდრიას ქ. 5ა

საიდენთიფიკაციო კოდი: 416288476

ელექტრონული მისამართი: arckmsheni2010@yahoo.com

ტელეფონის ნომერი: 599 25 00 82 ფაქსი: 8 341 22 10 00

საბანკო რეკვიზიტები:

სს „ლიბერთი ბანკი" (ქვემო ქართლის რეგიონალური) ფილიალი 2ს/ც-413

ბანკის კოდი SWIFT code: LBRTGE22

მიმღები: შპს „არქმშენი"

ა/ა GE82LBO113156510557000

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: მალხაზ სულაბერიძე

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი: 5 99 25 00 82

შპს „არქმშენის" დირექტორი: მალხაზ სულაბერიძე

ინფორმაცია მომსახურების ღირებულების შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი #308-ის მოპირდაპირე მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 4915<br>ოთხიათას ცხრაას თხუთმეტი |

შპს „არქმშენის" დირექტორი: მალხაზ სულაბერიძე

ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს დასაწყისი | სამუშაოს დასასრული |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი #308-ის მოპირდაპირე მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ხელშეკრულების გაფორმებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე |

შპს „არქმშენის" დირექტორი: მალხაზ სულაბერიძე

შ.პ.ს. „არქშენი"

## ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | საპროექტო მომსახურების ღირებულება | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირის ასფალტირების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქობულეთის მუნიციპალიტეტი (მუნიციპალური განვითარების ფონდი) | ხელშეკრულება №16<br>20 313.56 ლარი | 2011წლის<br>28 იანვარი |
| 2 | ქ. ქუთაისში ქუჩების კაპ. სამუშაოებისათვის შესაკეთებელი ქუჩების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქალაქ ქუთაისის მერია | ხელშეკრულება №154<br>29 870 ლარი | 2011 წლის 20 აპრილი |
| 3 | ქ. რუსთავში მეგობრობის გამზირზე დეკორატიული ღობის, გაზონის, სარწყავი სისტემის, გაზონების განათების, გადასასვლელი კიბეების, დეკორატიული კედლის, საველოსიპედო ბილიკების, დეკორატიული სანათების, სანაგვე ურნების, სკამების, სასეირნო ფილაქნის, დეკორატიული ბორდიურების, ტროტუარების და საავტომობილო გზის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქალაქ რუსთავის მერია | ხელშეკრულება №06/26<br>24 459 ლარი | 2011 წლის<br>10 მაისი |
| 4 | ქ. რუსთავში, მეგობრობის გამზირზე კეთილმოწყობისთვის (ახალგაზრდობის სკვერთან), | ქალაქ რუსთავის მერია | ხელშეკრულება # 06/44<br>13 499 ლარი | 2011 წლის<br>7 ივნისი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სანაპირო ქუჩის ა/ბეტონის საფარისა და ნიკოლაძის ქუჩის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | | | |
| 5 | ქ. რუსთავში, ფიროსმანის ქუჩის (პკ7+25-პკ9+90) ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციისთვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქალაქ რუსთავის მერია | ხელშეკრულება #06/45<br>3 596 ლარი | 2011 წლის 7 ივნისი |
| 6 | ქ.დუშეთში ერისთავის ქუჩის რეაბილიტაციის 620 გრძ/მ: | დუშეთის მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება №35<br>2700 ლარი | 2011 წლის<br>22 მარტი |
| 7 | ქ.დუშეთში სტალინის ქუჩაზე, ცენტრალური მოედნიდან მილახვრიანთკარის ხიდამდე:<br>1. ბორდიურების დემონტაჟი-მონტაჟის 1892გრ/მ.<br>2. ტროტუარების რეაბილიტაცია ასფალტით 4920მ<br>3.დაზიანებული საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.<br>4. ქ.დუშეთში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია 700მ | დუშეთის მუნიციპალიტეტი | 2011 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულება<br>1990 ლარი | 2011 წლის<br>18 თებერვალი |
| 8 | ქ. მარნეულში, ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | მარნეულის მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება #77<br>5 499 ლარი | 2011 წლის 17 მაისი |
| 9 | ქ.თელავში ადგილობრივი მნიშვნელობის 12 ქუჩის რეაბილიტაციის საპროექტო- | თელავის მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება # 0516 | 2011 წლის 1 ივლისი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | | 7 999 ლარი | |
| 10 | გზების, ქუჩების და ეზოების ასფალტის საფარის მოსაწყობად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | გორის მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება # 118<br>17 698.82 ლარი | 2011 წლის 1 აგვისტო |
| 11 | ქალაქ ქობულეთში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაციის (სავალი ნაწილი, ტროტუარი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება # 194<br>6 900 ლარი | 2011 წლის<br>22 აგვისტო |
| 12 | ქ.რუსთავში მესხიშვილის ქუჩისა და სპორტის ქუჩის საავტომობილო გზების ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ქალაქ რუსთავის მერია | ხელშეკრულება # 06/97<br>9 990 ლარი | 2011 წლის<br>4 აგვისტო |
| 13 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში სამაშველო სამსახურის შენობის რაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი | ხელშეკრულება #62<br>5000 ლარი | 16 მაისი 2011 წელი |
| | სულ ჯამში | | 149 514.38 ლარი | |

შპს „არქმშენის" დირექტორი მალხაზ სულაბერიძე

## მიღება – ჩაბარების აქტი

16 მაისი 2011წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე გ. მესტვირიშვილი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტატის გამგებელი გ. დაუშვილი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გ. ბასილია, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. " არქმშენი"-ის დირექტორი მ. სულაბერიძე ვადგენთ აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს „ არქმშენი"-ს დირექტორმა მ. სულაბერიძემ ჩააბარა ქ.თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს გ. ბასილიას სოფ. კოდაში სამაშველო სამსახურის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაცია სამ ეგზემპლიარად, თანახმად 2011წ. 10 მაისის №62 ხელშეკრულებისა. გაწეული მომსახურეობის თანხა შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე — გ. მესტვირიშვილი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
გამგებელი — გ. დაუშვილი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების
სამსახურის უფროსი: — გ. ბასილია

შ.პ.ს. „არქმშენის" დირექტორი — მ. სულაბერიძე

მიღება – ჩაბარების აქტი 06/45-1

ქ. რუსთავი 7 ივნისი 2011წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური მისი უფროსის ტრისტან ჩქარიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „არქიმენი" მისი დირექტორის მალხაზ სულაბერიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ თანახმად 2011 წლის 31 მაისის №06/45 ხელშეკრულებისა „მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო:

ქალაქ რუსთავში, ფიროსმანის ქუჩის (კკ7-25-კკ9+90) ასფალტის საფარის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

საერთო ღირებულებით – 3 596 (სამიათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.

ჩააბარა

შპს „არქიმენი"-ის
დირექტორი
მალხაზ სულაბერიძე
მ. სულაბერიძე

მიიღო

ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის
სამსახურის უფროსი
ტრისტან ჩქარიაშვილი

## მიღება-ჩაბარების აქტი №06/97-1

ქ. რუსთავი

14 ივნისი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, შ.პ.ს. "არქიმედი"-ს დირექტორის [illegible] სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" და მეორეს მხრივ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის, მისი უფროსის [illegible] სახით, სამსახურის მთავარი სპეციალისტის [illegible], [illegible] და [illegible] სახით, შემდგომში "შემსყიდველი" ვადასტურებთ, რომ თანახმად 2011 წლის 3 ივნისის №06/97 ხელშეკრულებისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები [illegible] "მიმწოდებლის" მიერ, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო ქალაქ რუსთავში [illegible] ქუჩისა და [illegible] ქუჩის საავტომობილო გზების [illegible] 990 [illegible] ლარის [illegible].

მიიღო:

თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი

მთავარი სპეციალისტი [illegible]

[illegible]

[illegible]

ჩააბარა:

შ.პ.ს. "არქიმედი"-ს დირექტორი

[illegible]

## მიღება – ჩაბარების აქტი

23 იანვარი 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზაციის საკითხებში ბადრი რომანაძე, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. " არქმშენის " დირექტორი მალხაზ სულაბერიძე შემდგომში „მიმწოდებელი" ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „არქმშენ"-ს შორის 2011 წლის 14 იანვრის №16 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „არქმშენი"-ს მიერ შესრულებულ იქნა ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირის ასფალტირების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაწეული მომსახურეობის თანხა შეადგენს 20 313.56 (ოციათას სამასცამეტი 56 თეთრი).

ვიხილეთ ჩაიბარეთ აღნიშნული დოკუმენტაცია და დავეთანხმეთ.

აქტს თან ერთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სამ ეგზემპლარად , ელექტრონული ვერსია CD დისკით და სასაქონლო ზედნადები.

| | |
|---|---|
| ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვების და ლეგალიზაციის საკითხებში | შპს „არქმშენის" დირექტორი |

ბადრი რომანაძე

მალხაზ სულაბერიძე

ვამტკიცებ

ქალაქ ქუთაისის მერი

გ. თევდორაძე

___ ________________ 2011წ

მიღება-ჩაბარების აქტი

20.04.2011 წ

ქ. ქუთაისი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ა. მაღლაკელიძე, სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი წულაძე "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „არქიმედეს" დირექტორმა მალხაზ ხელემბერიძემ "მიმწოდებელი" შევადგინეთ აღნიშნული აქტი შემდეგზე:

ქ. ქუთაისის მერიასა და შპს „არქიმედეს" შორის 2011 წლის 25 თებერვალს გაფორმებული №154 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „არქიმედეს" მიერ მოხდა ქ. ქუთაისში ქუჩების კაპ. სამუშაოების ჩატარებისათვის შესაკეთებელი ქუჩების (32 ქუჩა) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ღირებულებით 29 870 (ოცდაცხრაათას რვაასსამოცდაათი) ლარი.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად იქნა დაკმაყოფილებული, არც ერთ მხარეს პრეტენზია არ გააჩნია.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი

ა. მაღლაკელიძე

გ. წულაძე

შპს „არქიმედეს" დირექტორი

მ. ხელემბერიძე

მ ი ღ ე ბ ა - ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს აქტი

ქ. მარნეული 17 მაისი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი:

ერთის მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, საერთო მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი მალხაზ [illegible], მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე (შემდგომში „დამკვეთი")

და მეორეს მხრივ, შპს „არქიმედი"-ს დირექტორი მალხაზ სულაბერიძე (შემდგომში „შემსრულებელი"), ვადგენთ წინამდებარე მიღება ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2011 წლის 18 აპრილის №77 ხელშეკრულების, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 მაისის #08-1/762 და შ.პ.ს „არქიმედი"-ს 2011 წლის 17 მაისის #40 წერილების (რეგ. #08/1425, 17.05.2011წ.) საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო ქ. მარნეულში, ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა გზების (თბილისის, ვაჟა ფშაველას, ლერმონტოვის ქუჩები) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 5 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია ერთი – CD დისკით, კორექტირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 1 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია ორი – CD დისკით.

საერთო ღირებულებით 5 499 (ხუთი ათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი

დამკვეთს „შემსრულებლისადმი" პრეტენზიები და შენიშვნები არ გააჩნია.

მიღება-ჩაბარება განხორციელდა 17 მაისი 2011 წელს

ჩაიბარა /მ. [illegible]/

/დ. ხარშილაძე/

ჩააბარა /მ. სულაბერიძე /

## მიღება – ჩაბარების აქტი

22 აგვისტო 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზების საკითხებში ნათია ბასილაშვილი, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „არქმშენის" დირექტორი მალხაზ სულაბერიძე შემდგომში „მიმწოდებელი" ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „არქმშენს" შორის 2011 წლის 9 აგვისტოს №194 ხელშეკრულების საფუძველზე, შ.პ.ს „არქმშენის" მიერ შესრულებულ იქნა ქალაქ ქობულეთში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაციის (ზღვის ნაწილი, ტროტუარი) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაწეული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს **6 900** (ექვსიათას ცხრაასი) ლარს.

აქტს თან ერთვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ხუთ ეგზემპლიარად, ელექტრონული ვერსია CD დისკით.

აქტი სწორია რაზედაც ხელს ვაწერთ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობის ნებართვებისა და ლეგალიზების საკითხებში

შ.პ.ს. „არქმშენის" დირექტორი

ნათია ბასილაშვილი

მალხაზ სულაბერიძე

მ. სულაბერიძე

მიღება – ჩაბარების აქტი 06/44-1

ქ. რუსთავი 7 ივნისი 2011წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური მისი უფროსის ტრისტან ჭარიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „არქიმშენი" მისი დირექტორის მალხაზ სულაბერიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ თანახმად 2011 წლის 31 მაისის №06/44 ხელშეკრულებისა „მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო:

ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე კეთილმოწყობისათვის (ახალგაზრდობის სკვერთან), სანაპირო ქუჩის ასფალტის საფარისა და ნიკოლაძის ქუჩის ასფალტის საფარის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საერთო ღირებულება – 13 499 (ცამეტიათას ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

ჩააბარა

შპს „არქიმშენი"-ის
დირექტორი
მალხაზ სულაბერიძე
მ. სულაბერიძე

მიიღო

ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის
სამსახურის უფროსი
ტრისტან ჭარიაშვილი

საპროექტო –სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება - ჩაბარების

აქტი

ქ. დუშეთი 18 თებერვალი 2011წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, მიმწოდებელი შპს "არქიმედი", მისი დირექტორის მიხეილ ხელამერიძის სახით – ერთის მხრივ და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ცოტნე სანაგლიშვილის სახით, მეორეს მხრივ, ვადგენთ აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2011 წლის 3 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შპს "არქიმედის" მიერ სათანადო ნორმების დაცვით, შესრულებული და წარმოდგენილი იქნა საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სამ - სამი ეგზემპლიარი შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

1. ქალაქ დუშეთში სტადიონის ქუჩაზე, ცენტრალური მოედნიდან [illegible] სიდამდე [illegible], ტროტუარების რეაბილიტაცია ასფალტით, [illegible] ქუჩების რეაბილიტაცია.
2. ქალაქ დუშეთში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

ჩაიბარა:

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /ც. სანაგლიშვილი/

ჩააბარა:

შპს "არქიმედის" დირექტორი /მ. ხელამერიძე/

მიღება – ჩაბარების

აქტი

ქ. გორი 21 ...... 2011წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს. „არქმშენი"-ს დირექტორი შალვა სულაბერიძის სახით, „მიმწოდებელი" წოდებული და მეორეს მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობის ინსპექტორების ჯგუფის სახით, „შემსყიდველი" წოდებული, ვადასტურებთ, რომ 2011 წლის 30 ივნისის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ.გორში და გორის რაიონის სოფლებში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება „მიმწოდებელმა" შეასრულა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა 17698.82 (ჩვიდმეტი ათას ექვსასოთხმოცდათვრამეტი ლარი 82 თეთრი).

„შემსყიდველი"

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. გორი, სტალინის ქ№16
ბანკი სს „ლიბერთი ბანკი"
სახაზინო ...
ბ/კოდი: 220101463
ა/ა №1330312030
ს/კოდი: 218065910

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „არქმშენი"
ქ. რუსთავი, ...ის №5 ა
სს „ლიბერთი ბანკი"
...
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/აGE82LB0113156510557000
ს/კოდი: 416288476

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის მთავარი სპეციალისტი
მ. ...

გარემოსდაცვითი მთავარი სპეციალისტი
ლ. ...შვილი

განვითარების მთავარი სპეციალისტი
ფ. ...შვილი

შ.პ.ს. „არქმშენი"-ს
დირექტორი
შ. სულაბერიძე

მიღება – ჩაბარების აქტი 0516-1

თელავის მუნიციპალიტეტი 1 ივლისი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგებლის ვანო დავითაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „არქიმენი" მისი დირექტორის მალხაზ ხუციშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ თანახმად 2011 წლის 24 მაისის № 0516 ხელშეკრულებისა „მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო:

ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

საერთო ღირებულებით – 7 999 (შვიდიათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი

ჩააბარა

შპს „არქიმენი"-ის
დირექტორი
მალხაზ ხუციშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის
გამგებელი
ვანო დავითაშვილი

მიღება – ჩაბარების აქტი 06/26-1

ქ. რუსთავი                                                                 10 მაისი 2011წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ქალაქ რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური მისი უფროსის ტრისტან მწარიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „არქიმედი" მისი დირექტორის მალხაზ ხუციშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ თანახმად 2011 წლის 29 აპრილის №06/26 ხელშეკრულებისა „მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა" მიიღო:

1. ქალაქ რუსთავში მეგობრობის გამზირზე (დეკორატიული ღობის, გაზონის, სარწყავი სისტემის, გაზონების განათების, გადასახვეველი კიბეების, დეკორატიული კედლის, საველოსიპედო ბილიკების, დეკორატიული სანათების, ხანგრძლივი ურნების, სკამების, სასეირნო ფილაქნის, დეკორატიული ბორდიურების და ტროტუარების) კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ოთხ ეგზემპლარად.

2. მეგობრობის გამზირზე (მეგობრობის №3საცხოვრებელი სახლიდან №11-საცხოვრებელი სახლამდე ლითონის ღობეების მოწყობა) კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ოთხ ეგზემპლარად.

საერთო ღირებულებით – 24 459 (ოცდაოთხიათას ოთხასორმოცდაცხრამეტი) ლარი.

ჩააბარა                                                                 მიიღო

შპს „არქიმედი"-ის დირექტორი მალხაზ ხუციშვილი

ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ტრისტან მწარიაშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. დუშეთი 22 მარტი 2011 წელი

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის ქალბატონ ცარო საძაგლიშვილის სახით

და მეორეს მხრივ, შპს „არქმშენი", მისი დირექტორის მალხაზ სულაბერიძის სახით შევადგინეთ მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგზე:

ჩვენს შორის 2011 წლის 15 მარტში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 35-ის შესაბამისად, რომლის ღირებულება 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარი, დავამთავრეთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ტექნიკური დოკუმენტაცია (ქ. დუშეთი, ერისთავის ქუჩის რეაბილიტაცია) 3 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია.

ჩაიბარა:

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: /ცარო საძაგლიშვილი/

ჩააბარა:

შპს „არქმშენი"-ს დირექტორი: /მალხაზ სულაბერიძე/

# მიღება – ჩაბარების აქტი

5 იანვარი 2010 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი – რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გიორგი არჩვაძე, შემდგომში „დამკვეთი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს. " არქიმაგი "-ს დირექტორი დ. ხუჭნიძე შემდგომში „მიმწოდებელი" ვადგენთ აქტს მასზედ, რომ შ.პ.ს „არქიმაგი"- ს დირექტორმა დ. ხუჭნიძემ თანახმად 2010წ. 4 იანვრის №010\01-2 ხელშეკრულებისა ჩააბარა თვითმმართველი ქალაქი – რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს გიორგი არჩვაძეს ქ. რუსთავში საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა და ძველი მოედნების აღდგენის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თით-თით ეგზემპლარად მათ შორის:

საბავშვო მოედნები

1. ლეონიძის ქუჩაზე (№24-22 ბინებთან) საბავშვო მოედნების მოწყობა 18.5X11.5 (777.62 ლარი)
2. მე-II მიკრორაიონში საერთო საცხოვრებლების მიმდებარე ტერიტორია საბავშვო მოედნების მოწყობა 20მX11მ (861.4 ლარი)
3. მეგობრობის გამზირი №26 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია საბავშვო მოედნების მოწყობა 13,5მX7,5მ (542.8 ლარი)
4. თოდრიას I ჩიხში საბავშვო მოედნების მოწყობა 14,6მX14მ (667.88 ლარი)
5. თოდრიას III ჩიხში საბავშვო მოედნების მოწყობა 13,5მX7,5მ (542.8 ლარი)
6. VII მიკრორაიონში (№14-15 ბინასთან) საბავშვო მოედნების მოწყობა 20მX10მ (758.74 ლარი)
7. VII მიკრორაიონში (№5 ბინასთან) საბავშვო მოედნების მოწყობა 20მX12მ (813.02 ლარი)
8. VIII მიკრორაიონში (ბინა№7) საბავშვო მოედნების მოწყობა 13,5მX7,5მ (542.8 ლარი)
9. VIII მკრ (№10-9 ბინებთან) საბავშვო მოედნების მოწყობა 19მX12მ (784.7ლარი)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №236

ქ. ქობულეთი „26" „ოქტომბერი" 2011 წელი

ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნიკო ზერაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „არქშენი" (ქ. რუსთავი, თოდრიას ქუჩა 5ა), დირექტორის მინდობილი პირის არჩილ ტალახაძის სახით (დაბადებული 27,03,1984წ. ბორჯომი, პირადი ნომერი 11001008030, პირადობის მოწმობა №ა1128553) (შემდგომში "მიმწოდებელი"), იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი №187 ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე (კოდი 71300000 - საინჟინრო მომსახურებები), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 4915 (ოთხიათას ცხრაას თხუთმეტი) ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ფასი").

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
1.4 "მიმწოდებელი" – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.
2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:
2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დასრულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ქ. ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი №308-ის მოპირდაპირედ მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართებისა.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
4.2 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.
4.3. მშენებლობის პროცესში საავტორო ზედამხედველობის განხორციელება (რომელიც გულისხმობს მშენებლობის პროცესში წარმოჩენილი გაუთვალისწინებელი მდგომარეობის შესაბამისად პროექტის კორექტირებას, დამატებითი ანაზღაურების გარეშე).
4.4. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.
4.5. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2 ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
6.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება 6.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
7.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
7.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–6 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
7.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება,
7.4.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

**8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

9.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,5%–ს ოდენობით,
9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მიზანშეწონილად ჩათვლის ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მიმწოდებლისათვის ვადის გაგრძელებას, შემსყიდველის გადაწყვეტილებით მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა 1000 (ერთიათასი) ლარის ოდენობით.

**10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)**

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღისგანმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წყვეტს მოქმედებას მხარეთა შორის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე.

## 14. განსაკუთრებული პირობები

14.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, გვერდზე, 5 (ხუთი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;
14.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება „მიმწოდებელს", ხოლო სამი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

## 15. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
15.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LB0120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;
15.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

## 16. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ. რუსთავი, თოდრიას ქუჩა 5ა;
16.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE82LB0113156510557000**, საიდენტიფიკაციო კოდი **416288476**
16.3 „მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „არქმშენი"

**„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი**

საკრებულოს თავმჯდომარე — ნიკო ბერაძე

**„მიმწოდებელი" – შ.პ.ს. „არქმშენი"**

მინდობილი პირი — არჩილ ტალახაძე

ინფორმაცია მომსახურების ღირებულების შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს ღირებულება |
|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი #308-ის მოპირდაპირე მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 4915<br>ოთხიათას ცხრაას თხუთმეტი |

შპს „არქმშენის" დირექტორი: მალხაზ სულაბერიძე

ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს დასაწყისი | სამუშაოს დასასრული |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირი #308-ის მოპირდაპირე მწვანე ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | ხელშეკრულების გაფორმებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე |

შპს „არქმშენის" დირექტორი: მალხაზ სულაბერიძე

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თერთმეტი წლის ოცდახუთ თებერვალს მე, ნოტარიუს მაია მეტრეველს, ...ნოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქრუსთავი, შარტავას გამზირი 5-...ველი სართული, მომმართა შპს „არქმშენის" (საიდენტიფიკაციო №416288476) დირექტორმა ...ქწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა მალხაზ სულაბერიძემ (დაბადებული 11.03.19... ...ლისში, პირადი №35001046195, პირადობის მოწმობა №ა1339542, გაცემული სრს რუსთა... ...ხურის მიერ 02.09.2010წ., რეგისტრირებული მისამართზე: ქრუსთავი, მისამართის გარე... ...ურები ქრუსთავში, ფიროსმანის ქ.13-9), რომლის უფლებამოსილება დასტურდება სამეწარ... ...ტრის ამონაწერით შპს „არქმშენის" (საიდენტიფიკაციო №416288476) შესახებ (21.02.201... ...ცხადის რეგისტრაციის ნომერი №B11027988). მან გამოხატა არჩილ ტალახაძის მიმა... ...ობილობის შედგენისა და მისი სანოტარო წესით დამოწმების ნება. მე დავრწმუნდი, რომ ... ...უნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, დავადგინე მისი ნების გამოვლე... ...ელობა, აგრეთვე მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელ... ...თხე მას, განვუმარტე დოკუმენტის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრ... ...ები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით წაიკითხა მინდობილობა ... ...ოდ განაცხადა, რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. მალხაზ სულაბერიძემ პირადად ჩ... ...დასწრებით ხელი მოაწერა შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „არქმშენის" (საიდენტიფიკაციო №416288476) დირექტორი მალხაზ სულაბერ... ...დობი არჩილ ტალახაძეს (დაბადებული 27.03.1984წ. ბორჯომში, პირადი №11001008030, პირადო... ...მოწმობა №ა1128553, გაცემული სრს რუსთავის სამსახურის მიერ 25.12.2007წ., რეგისტრირებუ... ...მისამართზე: ქრუსთავი, მე-7 მკრ 5-88, შემდგომში წოდებული როგორც "რწმუნებული") ... ...არქმშენის" (საიდენტიფიკაციო №416288476) სახელით დადოს ნებისმიერი გარიგება, ხე... ...აწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას და დოკუმენტს, რწმუნებული ამ დავალების შესრულე... ...ორგანოებში მარწმუნებელს წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, სახელმწი... ...ა არასახელმწიფო ორგანოსთან, აგრეთვე თანამდებობის პირთან.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ ... ...უქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ... ...მეტრეველის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 ლარი, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათ... ...საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლისა, აგრეთვე 1,8 ლარი დღგ და 2 ლ... ...ელექტრონულ რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის, თანახმად სანოტა... ...მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 31' მუხლისა, სულ ...ლარი.

...ს „არქმშენის" (საიდენტიფიკაციო №416288476)
...რექტორი მალხაზ სულაბერიძე ——————————— [signature]

...ტარიუსი მაია მეტრეველი ——————————— [signature, seal]